ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

კურიკულუმი

| | |
|---|---|
| ფაკულტეტის დასახელება | ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი |
| პროგრამის დასახელება | ადრეული ბავშვობა, განვითარება და განათლება |
| მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი /კვალიფიკაცია | სკოლამდელი განათლების ბაკალავრი<br><br>Bachelor of Preschool Education |
| პროგრამის ხანგრძლივობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა) | 8 სემესტრი, 240 კრედიტი (1 კრედიტი - 25 საათი):<br>• თავისუფალი კომპონენტი -ზოგადი მოდული - 48 კრედიტი<br>• ძირითადი სწავლის სფერო - 132 კრედიტი<br>• დამატებითი პროგრამა/თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი |
| სწავლების ენა | ქართული |
| პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი | პროგრამა შემუშავებულია 2023 წელს<br><br>ხარისხის გაუმჯობესების მიზნით პროგრამა შესაძლებელია განახლდეს ყოველი სასწავლო წლის დაწყების წინ. |
| პროგრამის ხელმძღვანელი | ხათუნა დოლიძე, პროფესორი |
| პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები) | |
| პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს ჩაბარებული უნდა ჰქონდეს ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდებით დადგენილი მოცულობით. | |
| პროგრამის მიზნები | |
| პროგრამის მიზანია, მოამზადოს სკოლამდელი განათლების კონკურენტუნარიანი, რეფლექსური და შემოქმედებითი სპეციალისტი, რომელსაც:<br>• შეუძლია ბავშვზე ცენტრირებული მიდგომების პრაქტიკაში გამოყენებით ბავშვის ჰოლისტურ განვითარებაზე და კეთილდღეობაზე ზრუნვა;<br>• აქვს ადრეული განათლების სისტემური ხედვა, რათა შეძლოს სხვადასხვა სისტემის სპეციფიკის, მრავალფეროვნებისა და ურთიერთგავლენის გააზრება;<br>• დაუფლებულია საკუთარი და სხვების ავტონომიურობის, ცნობისმოყვარეობის, თვითგამოხატვისა და ტოლერანტობის ხელშემწყობ სტრატეგიებს, როგორც ადრეულ განათლებაში პროფესიული საქმიანობის ძირითად მახასიათებლებს; | |

- შეუძლია პროფესიულ პრაქტიკაში არსებულ გამოწვევებთან გამკლავება, წარმატებული პრაქტიკისთვის მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციის გაცემა და/ან განხორციელება.

## სწავლის შედეგები

პროგრამის კურსდამთავრებული:

1. იაზრებს ბავშვის (დაბადებიდან 8 წლამდე) კეთილდღეობასა და ჰოლისტურ განვითარებას ადგილობრივი და საერთაშორისო კონტექსტების, ადრეული განათლების თეორიებისა და მოდელების (მათ შორის მულტილინგვური განათლებისა და მეორე ენის ათვისების) ჭრილში;
2. აფასებს, გეგმავს და ქმნის ეფექტურ, დემოკრატიულ და თანასწორობის პრინციპებზე დამყარებულ ინკლუზიურ საგანმანათლებლო გარემოს, სადაც მრავალფეროვანი თამაში არის ხელშეწყობილი;
3. ბავშვებთან ინდივიდუალური და გუნდური მუშაობისას იყენებს თანამედროვე, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ სტრატეგიებსა და მიდგომებს;
4. ოჯახთან და თემთან იყენებს პატივისცემაზე, ნდობასა და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ პარტნიორული ურთიერთობების ხელშემწყობ სტრატეგიებს;
5. უზრუნველყოფს საკუთარი და სხვისი პრაქტიკის უწყვეტ შეფასებას, რეფლექსიასა და გამოცდილების გაზიარებას გუნდური მუშაობის პრინციპებისა და მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენებით;
6. კოლეგებთან თანამშრომლობით გეგმავს და ახორციელებს პრაქტიკის კვლევას არსებული პრაქტიკის სრულყოფის მიზნით;
7. არის შემოქმედებითი, ავტონომიური, გულისხმიერი კომუნიკაციური პარტნიორი და ამასთანავე წაახალისებს ბავშვების ავტონომიურობას, ცნობისმოყვარეობას, შემოქმედებითობასა და თვითგამოხატვას.

## სწავლების მეთოდები

- ინტერაქციული ლექცია/სემინარი;
- პრაქტიკული სწავლების მეთოდი;
- ინდივიდუალური, წყვილებში და ჯგუფური მუშაობის მეთოდები;
- დისკუსია/დებატები;
- შემთხვევის ანალიზი;
- პრაქტიკაზე დაკვირვება, ანალიზი, რეფლექსია;
- პრეზენტაცია;
- როლური და სიტუაციური თამაშები;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;
- პროექტზე დაფუძნებული სწავლება.

*პროგრამაში შემავალ ცალკეულ კურსში გამოყენებული სწავლების მეთოდები მითითებულია შესაბამის სილაბუსებში.*

## პროგრამის სტრუქტურა

პროგრამის ფარგლებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი შემდეგი განაწილების მიხედვით:

თავისუფალი კომპონენტი - **ზოგადი მოდული - 48 კრედიტი:**

- შესავალი თანამედროვე აზროვნებაში I ან შესავალი თანამედროვე აზროვნებაში II - 6 კრედიტი;
- შესავალი სტატისტიკაში - 6 კრედიტი

- აკადემიური მუშაობის ტექნიკები - 6 კრედიტი;
- ინგლისური ენის პრაქტიკული კურსები - 24 კრედიტი;
- შესავალი ადრეულ განათლებასა და განვითარებაში 6 კრედიტი.

**ძირითადი სწავლის სფერო - 132 კრედიტი**

- სპეციალობის სავალდებულო კურსები - 72 კრედიტი;
- სპეციალობის სავალდებულო - არჩევითი კურსები - თემატური მიმართულებები - 9 კრედიტი;
- სპეციალობის არჩევითი კურსები - 9 კრედიტი;
- საბავშვო ბაღში პრაქტიკის ბლოკი - 42 კრედიტი.

**დამატებითი პროგრამა ან თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი**

## შეფასების წესი

**შეფასების წესი (100 ქულიანი):**

(A) ფრიადი – 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

(C) კარგი – 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – 51-60 ქულა.

(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

*შეფასების სისტემა, მათ შორის შეფასების ფორმები და მეთოდები განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტული კომპონენტით და შესაბამისი კურსების სილაბუსებით.*

## დასაქმების სფეროები

კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს აღმზრდელ-პედაგოგად, პროგრამის სპეციალისტად, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორად, ასევე ადმინისტრაციულ თანამდებობაზე, შემდეგ ადგილებში:

- ფორმალურ და არაფორმალურ ადრეული განათლების დაწესებულებებში;
- სხვა ტიპის ადრეული განათლებისა და ზრუნვის დაწესებულებებსა და პროგრამებში (მაგ., დღის ცენტრი, ჰოსპიტლის თამაშის პროგრამა, ბიბლიოთეკები და მუზეუმების საბავშვო პროგრამები და სხვა);
- სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომელიც ადრეული განათლებისა და ბავშვების საკითხებზე მუშაობს.

პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს სამაგისტრო საფეხურზე.

## სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

- საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, ელექტრონული სამეცნიერო ბაზები, ტექსტური, აუდიო, ვიდეო საცავები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვის განვითარების ინსტიტუტი;
- უნივერსიტეტში არსებული საინფორმაციო კომპიუტერული ცენტრი;
- უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პორტალი (http://elearning.iliauni.edu.ge) და არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სპეციალური ელექტრონული სისტემა „არგუსი";
- პროგრამა - Turnitin;
- პარტნიორი ორგანიზაციები (საბავშო ბაღები, ადრეული განვითარების პროგრამის მიმწოდებელი ორგანიზაციები და სხვა), რომელთანაც უნივერსიტეტს დადებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

# კურსების კატალოგი

| N | კურსები | სტატუსი (სავ., სავ./არჩ., არჩ.) | ლექტორი | წინაპირობა | კრედიტები | ჩაშენებული პედაგოგიური პრაქტიკის კრედიტების რაოდენობა | საკონტ. საათები | სემესტრები | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| **ზოგადი სავალდებულო კურსები (48 კრედიტი)** | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | შესავალი თანამედროვე აზროვნებაში 1 <u>ან</u> შესავალი თანამედროვე აზროვნებაში 2 | სავალდებულო | პროფესორთა / პედაგოგთა ჯგუფი | | 6 | | 32 | x | | | | | | | |

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | შესავალი სტატისტიკაში | სავალდებულო | როფესორთა / პედაგოგთა ჯგუფი | | 6 | | 32 | x | | | | | | | |
| 4 | აკადემიური მუშაობის ტექნიკები | სავალდებულო | პროფესორთა / პედაგოგთა ჯგუფი | | 6 | | 32 | x | | | | | | | |
| 5 | ინგლისური ენის კურსი[1] | სავალდებულო | პროფესორთა / პედაგოგთა ჯგუფი | | 24 | | 90[2] | x | x | x | x | | | | |
| 6 | შესავალი ადრეულ განათლებასა და განვითარებაში | სავალდებულო | ხათუნა დოლიძე | | 6 | | 45 | x | | | | | | | |
| სპეციალობის სავალდებულო კურსები (72 კრედიტი) | | | | | | | | | | | | | | | |
| 1. | ადრეული განათლების კურიკულუმები | სავალდებულო | თამთა კუხალეიშვილი | შესავალი ადრეულ განათლებასა და განვითარებაში | 6 | 1 | 30 | | x | | | | | | |
| 2. | მეთოდოლოგია 1: თამაში და | სავალდებულო | თამთა კუხალეიშვილი | შესავალი ადრეულ განათლებასა და განვითარებაში | 6 | 1 | 47 | | x | | | | | | |

---

[1] სტუდენტისთვის სავალდებულოა გაიაროს ინგლისური ენის პრაქტიკული კურსები 24 კრედიტის მოცულობით (6 კრედიტი ერთ სემესტრში). ენის სწავლების (ენის ფლობის დონე) რომელი საფეხურიდან დაიწყებს სტუდენტი ენის პრაქტიკული კურსების გავლას დამოკიდებულია მისი ენის ფლობის დონის დამდგენი ტესტირების შედეგზე. ენის პრაქტიკული კურსების ფარგლებში სტუდენტის სხვა ვალდებულებები დეტალურად აღწერილია ზოგადი მოდულის დებულებაში.

[2] მითითებულია ერთ სემესტრში საკონტაქტო საათების რაოდენობა

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ურთიერთობა | | | | | | | | | | | | | | |
| 3. | მეთოდოლოგია 2 - პოზიტიური გამღოლა | სავალდებულო | ხათუნა დოლიძე | მეთოდოლოგია 1 თამაში და ურთიერთობა | 6 | 1 | 32 | | | x | | | | | |
| 4. | მეთოდოლოგია 3: ბავშვის განვითარება და დაკვირვება | სავალდებულო | ხათუნა დოლიძე | მეთოდოლოგია 2 - პოზიტიური გამღოლა | 6 | 1 | 62 | | | | x | | | | |
| 5. | მეთოდოლოგია 4: საგანმანათლებლო გარემო და პერსონალის კეთილდღეობა | სავალდებულო | ნინო ჯიჯავაძე | მეთოდოლოგია 3: ბავშვის განვითარება და დაკვირვება | 6 | 1 | 32 | | | | | x | | | |
| 6. | მეთოდოლოგია 5: ბავშვის მიყოლა | სავალდებულო | ნინო ჯიჯავაძე | მეთოდოლოგია 4: საგანმანათლებლო გარემო და პერსონალის კეთილდღეობა | 6 | | 52 | | | | | | x | | |
| 7. | ოჯახის როლი ადრეულ განათლებაში | სავალდებულო | ნინო ჯიჯავაძე | შესავალი ადრეულ განათლებასა და განვითარებაში | 6 | | 32 | | | x | | | | | |
| 8. | ბავშვთა ჯანმრთელ | სავალდებულო | ირინე რუხაძე | | 6 | | 32 | | X | | | | | | |

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ობა და დაავადებათა პრევენცია ადრეულ ასაკში | | | | | | | | | | | | | | |
| 9. | პრაქტიკის კვლევა ადრეულ განათლებაში | სავალდებულო | ლელა ჩახაია<br>ლია ქურციკიძე | მეთოდოლოგია 1: თამაში და ურთიერთობა<br>მეთოდოლოგია 2 - პოზიტიური გამღოლა<br>მეთოდოლოგია 3: ბავშვის განვითარება და დაკვირვება<br>საბავშვო ბაღში პრაქტიკა 1,2,3 | 6 | | 32 | | | | | | x | | |
| 10. | ლიდერობა და მართვა ადრეულ განათლებაში | სავალდებულო | ნინო ჯიჯავაძე | საბავშვო ბაღში პრაქტიკა 1<br>მეთოდოლოგია 1 თამაში და ურთიერთობა | 6 | 1 | 32 | | | | X | | | | |
| 11. | მრავალფეროვნება ადრეულ განათლებაში | სავალდებულო | ნინო გულიაშვილი<br>თამუნა საღინაძე | | 6 | | 34 | | x | | | | | | |
| 12. | თანამედროვე გამოწვევები ადრეულ | სავალდებულო | ანა ჯანელიძე<br>ცირა ბარქაია | მრავალფეროვნება ადრეულ განათლებაში<br>საბავშვო ბაღში პრაქტიკა 3 | 6 | | 30 | | | | | | X | | |

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | განათლება<br>ში | | | მეთოდოლოგია 3:<br>ბავშვის განვითარება და დაკვირვება | | | | | | | | | | | |
| **თემატური მიმართულებების სპეციალობის სავალდებულო - არჩევითი კურსები (9 კრედიტი)**<br><br>სტუდენტი მოცემული თემატური ბლოკებიდან ირჩევს ერთ-ერთს და გაივლის თემატური მიმართულების შესაბამის სამ კურსს | | | | | | | | | | | | | | | |
| | თემატური მიმართულება - ხელოვნება | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | დრამატულ<br>ი თამაშები ადრეულ ასაკში | სავალდებულო-<br>არჩევითი | თამთა კუხალეიშვილი | საბავშვო ბაღში პრაქტიკა 4<br>მეთოდოლოგია 4: საგანმანათლებლო გარემო და პერსონალის კეთილდღეობა | 3 | 1 | 22 | | | | | | | x | |
| 2 | ვიზუალურ<br>ი ხელოვნება ადრეულ განათლება<br>ში | სავალდებულო-<br>არჩევითი | ნინო ჯიჯავაძე | საბავშვო ბაღში პრაქტიკა 4<br>მეთოდოლოგია 4: საგანმანათლებლო გარემო და პერსონალის კეთილდღეობა | 3 | 1 | 24 | | | | | | | X | |
| 3 | მუსიკა ადრეულ განათლება<br>ში | სავალდებულო-<br>არჩევითი | თამარ ჟორდანია | საბავშვო ბაღში პრაქტიკა 4<br>მეთოდოლოგია 4: საგანმანათლებლო გარემო და პერსონალის კეთილდღეობა | 3 | 1 | 20 | | | | | | | x | |
| | თემატური მიმართულება - წიგნიერება | | | | | | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | წიგნიერება ადრეულ განათლებაში | სავალდებულო-<br>არჩევითი | ნინო ცინცაძე | საბავშვო ბაღში პრაქტიკა 4<br>მეთოდოლოგია 4: საგანმანათლებლო გარემო და პერსონალის კეთილდღეობა | 3 | 1 | 15 | | | | | | | X | |
| 2 | საბავშვო ლიტერატურა ადრეული ასაკის ბავშვებისთვის | სავალდებულო-<br>არჩევითი | ნინო ჯიჯავაძე | საბავშვო ბაღში პრაქტიკა 4<br>მეთოდოლოგია 4: საგანმანათლებლო გარემო და პერსონალის კეთილდღეობა | 3 | 1 | 26 | | | | | | | X | |
| 3 | ბილინგვური განათლება საბავშვო ბაღში | სავალდებულო-<br>არჩევითი | თინათინ კიღურაძე | საბავშვო ბაღში პრაქტიკა 4<br>მეთოდოლოგია 4: საგანმანათლებლო გარემო და პერსონალის კეთილდღეობა | 3 | | 32 | | | | | | | x | |
| | თემატური მიმართულება - მეცნიერება | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | მათემატიკური წარმოდგენები, მეცნიერული უნარები და ტექნოლოგიის გამოყენება | სავალდებულო-<br>არჩევითი | თამთა კუხალეიშვილი | საბავშვო ბაღში პრაქტიკა 4<br>მეთოდოლოგია 4: საგანმანათლებლო გარემო და პერსონალის კეთილდღეობა | 3 | 1 | 17 | | | | | | | X | |

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ადრეულ ასაკში | | | | | | | | | | | | | | |
| 2 | მეცნიერულ ი პროექტები ადრეული ასაკის მკვლევარი ბავშვებისა თვის | სავალდებულო-<br>არჩევითი | თამარ ბაქრაძე | საბავშვო ბაღში პრაქტიკა 4<br>მეთოდოლოგია 4: საგანმანათლებლო გარემო და პერსონალის კეთილდღეობა | 3 | 1 | 16 | | | | | | | X | |
| 3 | გარე განათლება ადრეულ განათლება ში | სავალდებულო-<br>არჩევითი | თამარ ჩაკვეტაძე | საბავშვო ბაღში პრაქტიკა 4<br>მეთოდოლოგია 4: საგანმანათლებლო გარემო და პერსონალის კეთილდღეობა | 3 | 1 | 32 | | | | | | | x | |
| **სპეციალობის არჩევითი კურსები - (9 კრედიტი)**<br>სტუდენტი 9 კრედიტის შესავსებად ირჩევს მოცემულ ორი სასწავლო კურსს ან ასევე  თემატური მიმართულებების სპეციალიზაციის სავალდებულო -არჩევითი კურსებიდან ნებისმიერს | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | საბაკალავრ ო კვლევითი პროექტის სემინარი | სავალდებულო-<br>არჩევითი | ლელა ჩახაია<br>ლიკა ქურციკიძე | პრაქტიკის კვლევა ადრეულ განათლებაში<br>მეთოდოლოგია 1,2,3,4<br>საბავშვო ბაღში პრაქტიკა 1,2,3,4 | 3 | | 16 | | | | | | | X | |
| 2 | საბაკალავრ ო | სავალდებულო-<br>არჩევითი | ხათუნა დოლიძე | საბაკალავრო კვლევითი პროექტის სემინარი | 6 | | 15 | | | | | | | | x |

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | კვლევითი პროექტი[3] | | | მეთოდოლოგია 5<br>საბავშვო ბაღში პრაქტიკა 5 | | | | | | | | | | | |
| **დამოუკიდებელი პრაქტიკის ბლოკი - 42 კრედიტი** | | | | | | | | | | | | | | | |
| 1. | საბავშვო ბაღში პრაქტიკა 1 | სავალდებულო | თამთა კუხალეიშვილი<br>ნინო ჯიჯავაძე<br>თამუნა საღინაძე | ადრეული განათლების კურიკულუმები | 6 | 6 | 30 | | | x | | | | | |
| 2. | საბავშვო ბაღში პრაქტიკა 2 | სავალდებულო | ხათუნა დოლიძე<br>ლიკა ქურციკიძე<br>ნინო გულიაშვილი | საბავშვო ბაღში პრაქტიკა I<br>მეთოდოლოგია 1: თამაში და ურთიერთობა | 6 | 6 | 30 | | | | x | | | | |
| 3. | საბავშვო ბაღში პრაქტიკა 3 | სავალდებულო | ხათუნა დოლიძე<br>ლიკა ქურციკიძე<br>ცირა ბარქაია | საბავშვო ბაღში პრაქტიკა 2<br>მეთოდოლოგია 2 - პოზიტიური გაძღოლა | 6 | 6 | 30 | | | | | x | | | |
| 4. | საბავშვო ბაღში პრაქტიკა 4 | სავალდებულო | ნინო ჯიჯავაძე<br>თამარ ბაქრაძე<br>ნინო გულიაშვილი | საბავშვო ბაღში პრაქტიკა 3<br>მეთოდოლოგია 3: ბავშვის განვითარება და დაკვირვება | 6 | 6 | 30 | | | | | | x | | |

[3] სტუდენტების კონსულტაციებისთვის განკუთვნილი დრო და აუდიტორია შეთანხმდება საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელთან სემესტრის დასაწყისში. საკონსულტაციო საკონტაქტო საათების მინიმალური რაოდენობა უნდა შეადგენდეს 15 საათს.

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5. | საბავშვო ბაღში პრაქტიკა 5 | სავალდებულო | ნინო ჯიჯავაძე<br>თამარ ბაქრაძე<br>ლიკა ქურციკიძე | საბავშვო ბაღში პრაქტიკა 4<br>მეთოდოლოგია 4: საგანმანათლებლო გარემო და პერსონალის კეთილდღეობა | 6 | 6 | 30 | | | | | | | x | |
| 6. | საბავშვო ბაღში პრაქტიკა 6 | სავალდებულო | თამთა კუხალეიშვილი<br>თამარ საღინაძე<br>ცირა ბარქაია | საბავშვო ბაღში პრაქტიკა 5<br>მეთოდოლოგია 5: ბავშვის მიყოლა | 12 | 12 | 30 | | | | | | | | X |

## პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა

| | პროგრამის სწავლის შედეგები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| პროგრამის მიზნები | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 1. მოამზადოს სკოლამდელი განათლების კონკურენტუნარიანი რეფლექსური და შემოქმედებითი სპეციალისტი, რომელსაც შეუძლია ბავშვზე ცენტრირებული მიდგომების პრაქტიკაში გამოყენებით ბავშვის ჰოლისტურ განვითარებაზე და კეთილდღეობაზე ზრუნვა. | | ★ | ★ | | ★ | | ★ |
| 2. სტუდენტს შესძინოს ადრეული განათლების სისტემური ხედვა, რათა მან შეძლოს სხვადასხვა სისტემის სპეციფიკის, მრავალფეროვნებისა და ურთიერთგავლენის გაცნობიერება. | ★ | ★ | | ★ | | | |
| 3. სტუდენტი დაეუფლოს საკუთარი და სხვების ავტონომიურობის, ცნობისმოყვარეობის, თვითგამოხატვისა და ტოლერანტობის ხელშემწყობ სტრატეგიებს, როგორც ადრეულ განათლებაში პროფესიული საქმიანობის ძირითად მახასიათებლებს. | | ★ | ★ | ★ | | | ★ |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4. შეძლოს პროფესიულ პრაქტიკაში არსებულ გამოწვევებთან გამკლავება, წარმატებული პრაქტიკისთვის მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციის გაცემა და/ან განხორციელება. | | ★ | ★ | | ★ | ★ | |

**კომპეტენციების რუკა**

ცხრილში აღნიშნულია, თუ რა დონეზე ავითარებს თითოეული სასწავლო კურსი კონკრეტულ სწავლის შედეგს. კერძოდ,

I = Introduced (გაცნობა)

P = Practiced (გაღრმავება)

M = Mastered (განმტკიცება)

| | | შედეგი 1 | შედეგი 2 | შედეგი 3 | შედეგი 4 | შედეგი 5 | შედეგი 6 | შედეგი 7 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | მეთოდოლოგია 1: თამაში და ურთიერთობა | P | P | I | I | | | I |
| 2. | მეთოდოლოგია 2: პოზიტიური გაძღოლა | P | P | P | I | | | P |
| 3. | მეთოდოლოგია 3: ბავშვის განვითარება და დაკვირვება | P | P | P | I | | | P |
| 4. | მეთოდოლოგია 4: საგანმანათლებლო გარემო და პერსონალის კეთილდღეობა | P | M | P | I | | | P |
| 5. | მეთოდოლოგია 5: ბავშვის მიყოლა | M | P | P | I | | | P |
| 6. | ოჯახის როლი ადრეულ განათლებაში | p | I | | M | P | | M |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7. | ბავშვთა ჯანმრთელობა და დაავადებათა პრევენცია ადრეულ ასაკში | P | | | | | | |
| 8. | პრაქტიკის კვლევა ადრეულ განათლებაში | | | | | M | M | |
| 9. | ლიდერობა და მართვა ადრეულ განათლებაში | | P | | P | M | | I |
| 10. | მრავალფეროვნება ადრეულ განათლებაში | P | M | | | | | |
| 11. | თანამედროვე გამოწვევები ადრეულ განათლებაში | P | P | | | | P | |
| 12. | ადრეული განათლების კურიკულუმები | P | | | | I | | |
| 13. | დრამატული თამაშები ადრეულ ასაკში | | P | P | | | | P |
| 14. | ვიზუალური ხელოვნება ადრეულ განათლებაში | | P | P | | | | P |
| 15. | მუსიკა ადრეულ განათლებაში | | P | P | | | | P |
| 16. | წიგნიერება ადრეულ განათლებაში | | P | P | | | | P |
| 17. | საბავშვო ლიტერატურა ადრეული ასაკის ბავშვებისთვის | | P | P | | | | P |
| 18. | ბილინგვური განათლება საბავშვო ბაღში | | P | P | | | | P |
| 19. | მათემატიკური წარმოდგენები, მეცნიერული უნარები და ტექნოლოგიის გამოყენება ადრეულ ასაკში | | P | P | | | | P |
| 20. | მეცნიერული პროექტები ადრეული ასაკის მკვლევარი ბავშვებისათვის | | P | P | | | | P |
| 21. | გარე განათლება ადრეულ განათლებაში | | P | P | P | | | P |
| 22. | საბაკალავრო კვლევითი პროექტის სემინარი | | | | | M | M | |
| 23. | საბაკალავრო კვლევითი პროექტი | | | | | M | M | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24. | საბავშვო ბაღში პრაქტიკა 1 | | | M | | M | | M |
| 25. | საბავშვო ბაღში პრაქტიკა 2 | | | M | | M | | M |
| 26. | საბავშვო ბაღში პრაქტიკა 3 | | | M | | M | | M |
| 27. | საბავშვო ბაღში პრაქტიკა 4 | | M | | | M | | |
| 28. | საბავშვო ბაღში პრაქტიკა 5 | | M | M | | M | | M |
| 29. | საბავშვო ბაღში პრაქტიკა 6 | | M | M | M | M | | M |